სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 955

დამატების № 168

ხუთშაბათი, 28 იულისი **1913** წ.

ს. დიდი-ლილოს (ტფ. მაზრა) მერძევეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

ზღვის ნოგათი

(პოემიდან „შავი რაინდი")

.... ზღვამ ის ერთხელ მიწას უძღვნა, ნაპირს ვპოვეთ ადრე დილით,
ღინჭილები დახვევოდა თმას შებურვილს ოდნავ სილით—
ზღვის ქაფისგან დანაბადი, შლამზე კრთოდა ბროლის ტანი,
ჩვენც ავიღეთ ის ნობათი, ტალღებისგან მონატანი,

მოუარეთ, ყვავილების სარეცელზე დავაწვინეთ,
ბუშკამბარი დავაკიეთ, შადი მკერდზე დავაფინეთ.
ზეცის რეკად აღვიძებდა ცოდვილ მიწას მის კისკისი,
ცელქ ამურებს ამბროზია თან მოჰქონდათ საზრდოდ მისი,
ბადრ მთოვარეს მიუგავდა სახე მნათი, არა მქისი.
ფერიები მას ტანს ვბანდით, ზღვის ნიავი თმას ვარცხნიდა—
ნორჩი იყო, როცა იგი პირველ—ქვეყნად აქ მოვიდა—
ჭაბუკ კაცებს, მის შემხედვართ, სახის კრთომით ბნედას ჰგვრიდა.

მაგრამ ოდეს ქალ-ეთერა გაივსო და გაიზარდა,
მკერდზე ძუძუ აუკოკრდა, მკრთალი ღაწვნი გაუვარდდა—
იგი უნდა მოძკვდარიყო, რადგან ორ ღმერთს, შეუყვარდა.
უკვდავ ღმერთთაც საბოლოდ გადასწყვიტეს მისი ბედი:
გინდ მოჰკლავს ტ გინდ აცოცხლებს, იცი, შექმნილს შემომქმედი.

ერთხელ, ვიდრე განაჩენი აღსასრულში მოეყვანათ,
ზღვის ნაპირზე თვითვე ღმერთებს, მსხვერპლი სურდათ გაებანათ.
მოხუც ჭინკამ მათ ურჩია დაერღვიათ იგი ნება—
ტალღებისთვის უვნებელად გადაეცათ ზღვის მშვენება.

ღმერთებს მართლაც მოეწონათ მოხუც ჭინკის იგი რჩევა—
ზღვის გულ-მკერდზე, როდესაც ზღვა ტკბილათა სთვლემს, არ
ირწევა—
მსხვერპლი უნდა დაეწვინათ... ტ, ვარდის წყლით რა დაბანეს,
განაჩენი თავის ხელით აღსასრულში მოიყვანეს.

ვის უნახავს ფირუზი ზღვა მოტორტმანე, მოქანავე,
ვის უნახავს ქალ-ეთერა ზღვის ცელქ წყალში მობანავე,
ვის უნახავს ვერცხლის ნამი თეთრ ზამბახზე მოკისკისე,
ზღვის თეთრ ქაფში მისი ტანიც კრთოდა ისე, კრთოდა ისე...

ვაჰმე, მიწამ ზღვის ნობათი არ მიიღო, დაიწუნა,
ზღვის ასული, ზღვის მშვენება ისევ ზღვასვე დაუბრუნა.
მზემ, ზღვის თვალში მოხითხითემ, ზღვას ცრემლები დაათოვა,
ზღვის მშვენება ზღვამვე ჩანთქა, ის მიწაზე როს ღა მოვა?!

კ. აბაშისპირელი.

გარდახვეწილისაგან სალამი სამშობლოსადმი

ლ ე ქ ს ი პ რ ო ზ ა დ *)

გადმოკეთებული

(ვუძღვნი სანდრო შანშიაშვილს)

მეგობარო, სალამი გარდაეც სათაყვანო მშობლიურ მხარეს! ბედნიერო, განთავისუფლდი, თავი ახწიე შენ ხვედრსა მწარეს და ვით ფრინველი, რომელმაც იგრძნო ჰავის შეცვლა სულ შემხუთველი,—ვეღარ ისვენებ, ჰბორგავ: სამხრეთისაკენ მიისწრაფი გამალებული!..

*) თუმცა ესევე ნაწარმოები მოთავსებული იყო 1909 წლის კვირეულ „ევრიაში", მაგრამ არა იმ სახით, როგორითაც ეხლა იბეჭდება. **გ. ბ.**

კურსების ლექტორებისა და მსმენელთა ექსკურსია სოფ. დიდი-ლილოში, მერძევეთა ამხანაგობის დასათვალიერებლად.

მე გამახსენდა ცაზე გაკრული მწყობრი გუნდი წეროებისა: დინჯად და რიგზე ერთი-ერთმანეთს მიჰყვებოდნენ თვისსა ბელადსა.

დიდხანს, დაჟინებით მათ შევყურებდი—გარინდებულ-დაღონებული...

უცბად ერთი მათგანი მოსწყდა მოძმეთა ჯაჭვს და, მიტოვებული, ჯან-ღონით სავსე ამხანაგებს ვერა სწვდებოდა... თუმცა მანძილი იმათ შორის იზრდებოდა, ფართოვდებოდა, მაგრამ ჩამორჩენილი მიილტოდა და მისძახოდა. რამოდენა მუდარა, კაეშანი ამ ძახილში იხატებოდა!.. ბელადი კი დინჯად, შეუდრეკელის ბეჯითობით ჰაერს აპობდა; თანამოძმენიც ამაყ წინამძღოლს შავ ზორანივით უკან მიჰბმოდა... გუნდიდანაც კი ისმოდა ხოლმე სამშვიდობო ხმა სევდიანი, მაგრამ მაინც არ მოუბრუნდა და არც შეჩერდა არავინ მათგანი. საბრალო, იგი ცახცახა ფრთის წყნარისა ქნევით წინ მიიწევდაა, რომ მწარე ხვედრი აეცდინა, მოშორებოდა; შევყურებდი რა ჩამორჩენილს, მეც მწარე გრძნობა გულში მეძვროდა: კარგად ვხედავდი ავადმყოფი „აღთქმულ ქვეყანას“ ვერ იხილავდა...

მეც მისებრ არ ძალმიძს არ ჩამოგრჩე ჯ თან გამოგყვე, თუმც კარგად უწყი,—აბა თავიდან რაღა გითხრა, რაღა მოგიყვე; მისთვის განწირულს, გული-გონება მე უმალ მიმელტვის მისკენ:—ჩემს შუქროვანს, შეუდარელს მშობლიურ მხარეს—სამხრეთისაკენ. სადაც პირველად გულში იშვა ოცნება ტკბილი, სად არ მტოვებდა ყრმისა სიზმრები—ნათელი, ჩვილი... თავს მევლებოდა დედის ალერსი, ხმა მეგობრული და ახლად ვიგრძენ წმინდა, ნამდვილი მე სიყვარული... იქავე, ალვის ხის ჩეროების ქვეშ, მშობელთ ნაშთია და ყოველივე იქ სათაყვანო და ძვირფასია!.. როცა თვალს ძოჭკრავ ზურმუხტოვანს, ლაჟვარდს, ნათელ ცას: დღისით ბრწყინვალეს, მოცინარეს, ღამით—უძიროს, მოცულ-მოჭედილს სევდიანი ვარსკვლავებით; როცა იხილავ თვალთ-უსწორო მეფურს ლამაზ მზეს, რომელიც უვლენს არემარეს შვება-სიხარულს,—გამიხსენებ შენს მეგობარსა, აქ გადმოღუპულს...

შენს თვალთ წინ მთები-ბუმბერაზნი წარმოსდგებიან, ღრუბლით მოცულ მწვერვალებით რომ ცას მიბჯენიან... ადი, აცოცდი უეჭველად ერთ-ერთ მწვერვალზე, დაღლილობას არ შეუშინდე და არც გაექცე. რას იხილავ, ოჰ რა სურათი გარდაგეშლება! შენი გონება, ვით მუხრუჭსა თავ-დახწეული, ისევე მძლავრი, ამაყი და თავისუფალი, ვით არწივი ჰაერს რომ აპობს, ცასა გაკრული,—გაიწევს მაღლა ზეცისაკენ გალაღებული. თავში აღსდგება პატიოსნური სათნო აზრები; გულში ჩამოჭკრავს, დაიჟღარუნებს წმინდა სიმები... ახლად იშვები,—თვით გამჩენთან ახლოს იქნები!.. იქ აგმოგხდება ძლევის—ყიჟინის—ხმა რიხიანი და დაღმართ-დაღმართ დაეშვები **ადამიანი**... ოჰ, ღმერთო ჩემო! იქა ხომ ჩემი სამშობლო არი!..

განცხრომას ჰპოვებ შენ გარინდებულ, მწვანე მდელოზე, მშვიდი მწყემსი, ჩაფიქრებული რომ სდარაჯობს თვის ფარას და, გასცქერის რა შორს, დაღუღუნებს კაეშნიან ხმას...

იცი კი რას?!

პირ-ქუში ღამე როს ეფარება მთლად დედამიწას და მშვიდი მთვარე კაშკაშ ნათელში ახვევს ქვეყანას,—იქვე ყურს მოჭკრავ სალამურის სევდით მკვნესარე ხმას. ხმა იგი ფრთებს შეასხავს შენსა ოცნებას და ცხოვრებაში გრიგალსა გავლილს, ბევრისა მნახველს, გაგიშუქებს რა წყნარი და ნათელი ღიმი სახეს, მორიდებით მოიწმენდ თვალისაგან მომწყდარსა ცრემლს... ცისა შემყურე, მთელ იმ ღამეს სმენად იქცევი. უცნობი, ნაზი ალერსი მოიცავს შენსა გულს; უსიტყვო ლოცვა აღგეძრება მოჯადოებულს და, მოგიცავს რა ცხოვრების ფიქრი სამარადისო, მტერთადმისაცა შენ განიცდი პატიებასა სრულს. იმ ხმებით ერთხელ მე განდევნილიც ვიყავ მოცული და თან გამომყვა ჩემსა გულშია ღრმად დაჩნეული!

შენ იქ იხილავ ფართოდ გაშლილსა ხეხილის ბაღებს და აბიბინებულს, ზღვადა ქცეულს მწვანე ვენახებს. გაოცებული თვალსა მიაპყრობ მთისა ქოხმახებს, მერცხლის ბუდესებრ რომ მიჰკვრიან ფრიალოსა კლდებს. იქვე შეხვდები უშიშარს მხედარს, როცა ჩვეულს ცხენს, თაბრუდამსხმელსა მთისა ბილიკზე ის მიაქროლებს! რომ გაეცნობი იმ პატრიარქულ მარტივსა ყოფას,—ფუჭ-არაროობად შენ მიიჩნევ ჩვენს ბობოქრობას...

არ შეგიძლია, რომ არ შესდგე განცვიფრებული, როს გადგეშლება უსაზღვრო სივრცე ცისფერი ზღვისა: იმის კიდესთან დიდხანს დაჰყე, ნუ მოშორდები: მრავალ გვარადა ცვალებადობს იგი გრძნეული, ვით მგრძნობიერი კაცსა გული აღშფოთებული! მის სივრცე გხიბლავს და გიზიდავს შეუკავებლად, გართობს, განაზებს და გიმღერის საალერსო ხმებს; ტალღებისა წყნარის ტლაშუნით ნერვებს გიმშვიდებს... აბა კიდეზე გადმოწექი და დააცქერდი: თვით აზიისა სიშორიდან ზღვა მოგაგებებს, კიდის კენჭების შხარა-შხურითა, თვის ლბილსა ტალღებს, რომლითაცა თეთრ—აფრიანსა ნავებსა არწევს. როცა ზღვა მძლავრი, გაშმაგებულ-გააფთრებული, გამოურკვეველ გულის სიღრმიდან მძლად დაიქუხებს და ააგორებს უშველებელს მთებისებრ ტალღებს, როს გულზვიადი მედიდურად დაიღრიალებს ჯ მოუსვენართ, შფოთიანი, ბრჭყვიალა წვეთების გაშმაგებითა სროლას დაიწყებს ფრიალო კლდეთ,—უნებლიედ თავსა მოუხრი მის სილამაზეს!., საუკუნეებ განვლილი ზღვა, მისი წიაღი, პასუხს გასცემს შენს მოუსვენარს დაავადებულს გულს.

ჩემო ზღვაო, დაუვიწყარო, საოცნებო ზღვავ, მოვალ ოდესმე შენს კიდეზე, კიდევ გიხილავ?!..

მეგობარო, სალამი გარდაეც ჩემსა სამშობლოს! უთხარ, რომ დიდი ხნის უნებურს ჩემს განშორებას არც ერთი ხაზი ძვირფას სახის არ წარუხოცავს: ჩემს ხსოვნაშია მარად ვატარებ იმისა სახელს და ცივს მხარეში დაშორებულს, უიმედო ტყვეს, გული მიკვნესის და ვიტანჯები დაუსრულებლად. ილაჯ-მიმწყდარსა, ავადმყოფსა, რწმენაც აღარ მაქვს; დარდს შევეთვისე, მომავალიც არას მისახავს; ვიმედობ მხოლოდ:—აღსასრულს მაინც კალთას გადმაფარს.

უთხარ სამშობლოს, შუქმფინარეს, სასიხარულოს, რომ შემოდგომა-ზამთრის მთელი დღეობით ვზივარ მარტოკა ბნელ სარკმელთან დაღონებული და სარკმლის მინებს როს ეცემიან ცრემლად წვეთები, როცა მოისმის შემოდგომის ღმუილ-ზუილი,—უსაზღვროდ ვწვალობ და უსასოოდ მე ვიტანჯები: უბედურს მესიზმრება ბრწყინვალე, ცხრათვალა მზე და მოლივლივე ცისფერი—ზღვის მხიბლავი ხმები!..

გ. ახალციხელი.

ქართულ-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ მოწოდებულ საკოოპერაციო კურსების ლექტორები და მსმენელნი საზოგადოებ. „კახეთი“-ს სარდაფების დათვალიერების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაქრისტიანული სახელი „კაენი“

(სრულიად დაუჯერებელი ამბავი)

(**რუსულიდან**)

(დასასრული *)

ისპრავნიკმა ბოქაულის მოხსენება სამი დღის შემდეგ მიიღო. გადაიკითხა რამდენჯერმე ეს მოხსენება, მაგრამ ვერაფერი გაიგო. დაუძახა თავის თანაშემწეს და მდივანს. მოხსენება ხმა მაღლა წაიკითხეს და მდივანმა პატარა ფიქრის შემდეგ გაიხსენა, რომ ამ საქმის გამო ქაღალდი იყო მიღებული გუბერნატორისაგან. იპოვეს გუბერნატორის მოწერილობა, აგრედვე პირი იმ ქაღალდისა, რომელიც გაუგზავნეს ბოქაულს. წაიკითხეს, კიდევ ჩაიკითხეს ბოქაულის მოხსენება და დიდხანს, დიდხანს ხარხარებდნენ იმის მიუხვედრელობაზე, ურიადნიკის აჩქარებულებაზე, ორივეს სისულელეზე; მაგრამ ბოლოს გადასწყვიტეს, რომ მიხვედრილობაც, აჩქარება-სიმარჯვეც ღირსებაა და არა ნაკლულება. ბოქაულს დაუყოვნებლივ მისწერეს—ჩუმად, უდავიდარაბოდ გაენთავისუფლებინა პერეპელიცა, რომ ამას რამე ლაპარაკი არ გამოეწვია და შემდეგ სამივენი ერთად შეუდგნენ გუბერნატორთან პასუხის შედგენას.

„თქვენი აღმატებულების ბძანების აღსასრულებლად, ვოლნომისლენის ნაწილის სოფელ ტიმოშკაში პოლიციის საშუალებით მოვახდინე გამოძიება. გამოძიებით გამოირკვა: სოფელ ტიმოშკაში ნამდვილად სცხოვრობს გლეხი კაენ პერეპელიცა, ხოლო ადამისა და აბელის შესახებ არავინ-რა იცის. ხოლო ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მართლმადიდებელი წმინდა აგეთი არავინ არის, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ, როცა თქვენ ადამსა და აბელს იხსენიებდით, სახეში გყავდათ სამღვთო-წერილში მოხსენებულნი. ამ შემთხვევაში მოვალეობადა ვრაცხ გაუწყოთ, რომ ხსენებული კაენ პერეპელიცა ტომით მალოროსია და არა ურია, ჯ საეჭვო არ არის ვიფიქროთ, რომ ის იმათი (ადამისა და აბელისა) უფრო ახლო ნათესავი იყოს, ვიდრე სხვა ხალხი. გამოძიებამ გამოარკვია: რომ აღნიშნული კაენ პერეპელიცა მემკვიდრეა შეძლებული და მშვიდი, პოლიტიკურად კეთილსაიმედოა და თუ მაინცა და მაინც შეიძლება ბრალი რამეში დავდოთ, ეს იმაში, რომ არაყს არა სვამს თვითონ და სოფლელებსაც უშლის. აქედან კი გამოდის, რომ კაენ პერეპელიცა შეიძლება საეჭვოდ აღიარებულ იქმნას სარწმუნოებრივ კეთილსაიმედობის მხრივ, ვინაიდან ცნობილია, რომ არაყს არა სვამენ შტუნდისტები. ამის გამოსარკვევად შევეკითხე ადგილობრივს მღვდელს და მისგან პასუხის მიღებისათანავე, დაუყოვნებლივ ვაცნობებ თქვენს აღმატებულებას“.

ისპრავნიკის ხელმოწერა.



ლეო კერესელიძე,
რომელიც ჟენევის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად აირჩიეს ამ ერთი თვის წინად.

სოფელ ტიმოშკას მღვდელს.

„თქვენო მაღალ-ღირსებავ. ბ-ნ გუბერნიის უფროსის მოწერალობის თანახმად, თუ შეიძლება, მალე შემატყობინეთ: სოფელ ტიმოშკას გლეხი კაენ პერეპელიცა ხომ შტუნდისტებს არ მიემხრო, რადგანაც გამოძიებამ დაამტკიცა, რომ თვითონ არა სვამს არაყს და სხვასაც ურჩევს არ დალიოს. ცნობილია, რომ, შტუნდის მიმდევართა დამახასიათებელი თვისება არყის უარყოფაა“.

ისპრავნიკის სახელი და გვარი.

არქიელს, საგლეხო ბანკის განყოფილების გამგისაგან.

„მაქვს პატივი გულწრფელი ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე 15 მაისს, ჩემს მოწერილობაში შეცდომის შეპარვის გამო. ამის დამნაშავე აღმოჩნდა გადამწერი. ასლში არის კაენის გვარი მოხსენებული. დამნაშავე შესაფერისად დაისაჯა. კაენის გვარს კი ვეჩქარი წევატყობინო თქვენს მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესობას: საოჯახო სიებში ის მოხსენებულია პერეპელიცას გვარით, № საოჯახო სიისა არის 81. გთხოვთ სათანადო განკარგულება შემატყობინოთ“.

ბანკის განყოფილების გამგეს არქიელისაგან.

„ამით მოვალეობადა ვსთვლი ვაცნობო თქვენს აღმატებულებას შემდეგი: ჩემი ბძანებით სოფელ ტიმოშკაში მეორე ოლქის მამა ბლაღოჩინმა მოახდინა გამოძიება, რამაცა დანამდვილებით გამოარკვია, რომ სოფელ ტიმოშკაში არავითარი გლეხი, რომელიცა თავის თავს „კაენს“ უწოდებდეს, არა სცხოვრობს, არამედ არის აკაკი პერეპელიცა. ჩვენ, მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, ძალიანა ვცემთ პატივს იმ წმიდანებს, რომლითა სახელითა წმიდა ნათლობისა დროს ღირს ვიქმენით ვწოდებულიყავით, ამიტომ აღმატებულებისა თქვენისა წინადადებას, 15 მაისს რომ გამოსთქვით წერილში, ჩვენთვის, მართლმადიდებელ ქრისტიანეთათვის, ფრიად შეურაცხმყოფელადა ვსთვლი. რაც შეეხება იმას, რომ ზოგიერთა სოფლელნი აღნიშნულ აკაკი პერეპელიცას ხუმრობით „კაენს“ ეძახის, ეს არც ჩემი, არც წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიის საქმე არ არის.“

ისპრავნიკის პასუხი რომ მიიღო გუბერნატორმა, თითონ წავიდა არქიელთან.

— ჩემებს სულ ღმერთი გაუწყრათ, მეუფეო, ბოხი ხმით დაიწყო გუბერნატორმა ჯ ხელზე სამთხვევლად მივიდა.—ისე არივ-დარივეს საქმე, რომ თვით ეშმაკი მოიტეხს კისერს.

— ეგ რის შესახებ?—ყოყმანობდა არქიელი.

— კაენ პერეპელიცას საქმის გამო,—მიუგო გუბერნატორმა.

— არა, მაგისთანა არას დროს არ ყოფილა ჯ არც შეიძლება ყოფილიყო, — მტკიცედ წარმოსთქვა არქიელმა.—ეს სულ იმ გერმანელმა არია. მეც, თქვენც, მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, ვიცით როგორა ვცემთ პატივს იმ წმიდანებს, რომელთა სახელით წმინდა ნათლობის დროს ღირს ვიქმენით ვწოდებულიყავით. გერმანელმა კი ეს არ იცის და ამიტომ იფიქრა—ეს კაცი, კაენის სახელი რომ მიუთვისებია, ქრისტიანი უნდა იყოსო.

— მერე როგორ, მეუფეო, თქვენვე ბძანებდით.—შენიშნა გუბერნატორმა.

— იმა გერმანელმა შეცდომასა შინა შემიყვანა,—დაიწყო არქიელმა.—სოფელ ტიმოშკაში კი სცხოვრობს გლეხი აკაკი პერეპელიცა; მასაც სოფლელები ხანდისხან ხუმრობით კაენს ეძახიან.

— კარგი, მაგრამ პოლიციის მიერ მოხდენილ გამოძიებით გამოირკვა, რომ ის შტუნდისტია.—განაცხადა გუბერნატორმა.

— ეს იმიტომ მოხდა ასე, რომ პოლიცია თავის საქმეში არ ჩაერია. აკაკი პერეპელიცა სამაგალითო ქრისტიანია, მიუგო არქიელმა.

— ჰო, მაგრამ თქვენ თვითონა მთხოვდით, მეუფეო..—შენიშნა კიდევ გუბერნატორმა.

— რამეთუ შეცდომასა შინა შემიყვანეს. მაინც საერთოდ პოლიციის საქმე არ არის, ეკლესიის საქმეებში ჩაერიოს. აქედან კეთილი არა გამოდის რა.—დაადასტურა არქიელმა.

— დახე, მეუფეო, რაში ყოფილა საქმე, მეცოდინება!—სთქვა გუბერნატორმა, გამოეთხოვა და ძალზე აღელვებული და უკმაყოფილო გამოვიდა.

ბ-ნ სტრასტიტერპინის ისპრავნიკს.

„მოვალეობადა ვრაცხ გაცნობოთ, რომ ჩემს სამრეველოში არავითარი კაენ პერეპელიცა არ იმყოფება, არამედ არის

*) იხ. სურათებიანი დამატება № 167.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი პერეპელიცა, რომელიც ურადნიკმა ტყუილუბრალოდ დააპატიმრა და სცემა. ხსენებული აკაკი პერეპელიცა ერთგული ქრისტიანია, ყოველ-წლივ აღსარებაზე დაიარება და ზიარობს წმ. საიდუმლოებათ. არა მყავს სამრევლოში შტუნდისტები და არც შეიძლება მყავდეს, რამეთუ სამწყსო ჩემი მწყსობასა ჩემსა ჰგიებს.“

მღვდელი მეთოდე პრეობრაჟენსკი.

დეპეშა. ბ-ნ გუბერნატორს.

„ბედნიერად ვთვლი თავს მოგახსენოთ, რომ ჩემდამი რწმუნებულ მაზრაში სრული მშვიდობიანობაა. პირადმა გამოძიებამ აღმოაჩინა: სოფელ ტიმოშკაში არავითარი კაენ პერეპელიცა არა სცხოვრობს, არამედ არის აკაკი პერეპელიცა, ერთგული ქრისტიანი. ურადნიკი უფლების გადამეტებისათვის დავაპატიმრე.“

ისპრავნიკის სახელი და გვარი.

ზემოხსენებული დეპეშა მიიღო გუბერნატორმა, როცა ის იყო არქიელისგან დაბრუნდა. მაშინვე დაუძახა კანცელარიის მმართველს.

— დასწერეთ,—მრისხანედ უთხრა გუბერნატორმა და კაბინეთში წინ-და-უკან იწყო სიარული.

კანცელარიის მმართველი დაჯდა მაგიდასთან, აიღო ხელში კალამი და საწერად მოემზადა.

— „ბ-ნ სტრასტიტერპინის მაზრის ისპრავნიკს,—უკარნახებდა გუბერნატორი,—თქვენ და თქვენ ხელ-ქვეით მოხელეთ, რომელნიც კაენ პერეპელიცას საქმის გამოძიებას ახდენდით, გიცხადებთ მკაცრ საყვედურს. გამოძიების დროს გამოგიჩენიათ გადამეტებული სიჩქარე, უთაობა, ზედმეტი ბრძენობა, რაიცა თქვენ არ უნდა დაგეშვათ. შემდეგში მკაცრად გიკრძალავთ მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეებში ჩარევას, თუ ჩემგან განსაკუთრებულ ნებართვას არ მიიღებთ ამისას.“

— კარგი!—გააგრძელა გუბერნატორმა და შეჩერდა.

— ეკუთვნით,—კვერი დაუკრა კანცელარიის მმართველმა და სკამიდან წამოდგა.

— აჰ, მინდოდა ერთი იმათი ჯიბეები ცოტა შემებერტყა, მაგრამ ეს იმათ არ ეპაშნიკებათ,—ამოიოხრა გუბერნატორმა.

— გავკადნიერდები მოგახსენოთ, უთხრა მმართველმა,— მე ჩემით გაუგზავნი ხელის მოსაწერ ფურცლებს ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოდ და კერძოთ გადავუკრამ—მის აღმატებულებას იმედი აქვს, რომ ისპრავნიკი ფურცელით შეაგროვებს არა ნაკლებ ხუთას მანეთისა და ბოქაული ორას მანეთისას მეთქი.

— მაშ, ჰაიდა, გაუსვი, ბეჯითად მოეკიდე, არა დაუთმო რა. ეხლა კი მისწერეთ იმ ბანკის განყოფილების გამგეს. სახელი და მამის სახელი იპოვნეთ.—„მოწყალეო ხელმწიფევ. ასეთო და ასეთო თქო, უკარნახებდა გუბერნატორი მართებელს, თქვენი პირდაპირი მიმართვით ყოვლად-უსამღვდელოსადმი მე მეტის-მეტ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენეთ. თქვენ, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფმა, უნდა იცოდეთ, რომ, როგორც გუბერნიის ბატონ-პატრონს, ყველაფერი თავის დროზე მე უნდა მეცნობებოდეს, რაც ამ გუბერნიაში ხდება. კაენ პერეპელიცას საქმეს ცხრაჯურის ხელი გამოუვლია და მე ეხლა შემატყობინეს. ამიტომ ეს საქმე მეტად გართულებულ იქმნა. რომ ამისთანა ამბავი კვლავ აღარ განმეორდეს, გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მომავალში ყოველ საქმეზე, რაიცა თქვენი დაწესებულების მოვალეობას არ შეადგენს, წინასწარ მე მომმართოთ ხოლმე.“

გამგის პასუხი.

„თქვენო აღმატებულებავ, მივიღე თქვენი ამა წლის 23 ივნისის დაწერილი წერილი, გადავთვარიელე საგლეხო ბანკის მთელი წესდება, მაგრამ იქ ვერაფერი ვნახე შესაფერი იმისა, რაც თქვენ მე მოვალეობად დამიდეთ. ამიტომ მოვალედ ჩავთვალე თავი ამ კითხვის გამოსარკვევად მიმემართა ბ-ნ მინისტრის ამხანაგისათვის, რომელიც საგლეხო ბანკს განაგებს.“

სტრასტიტერპინის მაზრის მეორე ოლქის ბლაღოჩინს.

„თქვენო მაღალ-ღირსებავ. მის ყოვლად-უსამღვდელოესობის განკარგულებით ამით გადმოგცემთ მის კმაყოფილებას აკაკი პერეპელიცას საქმის სწარაფად გამოძიებისა გამო, რომელიც საცთუნებელად ჩვენდა კაინათ უწოდებიათ. სახელი ესე აღარსად უნდა იყვეს მოხსენებული, ხოლო სააღსარებო სიებში, სამცნებოდ ნიკონ სოლანოვსკისა, გადასწორებულ უნდა იქმნეს შესაფერისად, ე. ი. აკაკათ. საქმე ესე გათავდა რა მშვიდობითა, არავინ ეძლევა სასჯელს. მომავალისათვის, რათა არა იქნეს საცთუნებელი დიდი, იმა კაინზე დაივიწყეთ და ყველას, ვინც კი გკითხავთ, უთხარით მტკიცედ: იყო და არის აკაკი პერეპელიცა, რამეთუ კაენი არს სახელი არაქრისტიანული, მართლმადიდებელთ ეკლესიითა შეუწყნარებელი.“

საგლეხო ბანკის განყოფილების გამგის კაბინეთში სდგას ოთხი გლეხი, მერვე ტიმოშკინის ამხანაგობის რწმუნებულნი. მათ რიცხვში არის აკაკი პერეპელიცაც.

— ახლა რაღა ვუყოთ, თქვენო აღმატებულებავ?—დაიწყო მაღალმა, ჩასხმულმა, ნასალდათარმა გლეხმა.—რაკი თქვენ სესხი დროზე არ მოგვეცით, მემამულემ გვიშარა, გვეუბნება—ვადა გავიდა, საჭირო აღარ არის ნასყიდობის ქაღალდის შედგენა, ბე მე დამრჩაო.

— მერე, მე რა შუაში ვარ? მიუგო გამგემ.—მართალია, კანონით ასეა. თუ დროზე ნასყიდობის ქაღალდი არ შეადგინეთ, სჩანს პირს გადადიხართ და გამყიდველს უფლება ეძლევა ბე თავის სასარგებლოდ დაიტოვოს.

— მერე, შენი ჭირიმე, ჩვენ ხომ არა ვართ ამაში დამნაშავე,— შენიშნა მეორე გლეხმა, უფრო უფროსმა,—ხომ თქვენ სესხი არ მოგვეცით?!

— ეგ რა სიმართლეა,— დაიწყო ისევ ნასალდათარმა,—ყველაფერი მზად იყო და ბოლოს საქმე როგორღაც უკულმა შემოატრიალეს. ჩვენი ბრალი არ არის, თუ კანცელარიაში, ან დამფასებელმა წევრმა გადათვარიელების დროს შეცდომა გაუშვეს.

— თქვენ საერთოდ მადლობელი უნდა იყვეთ, რომ საგლეხო ბანკი სესხს გაძლევთ და არა აქ შენიშვნები მაძლიოთ, —გააწყვეტინა გამგემ და გლეხებს თვალები გადმოუბრიალა.

— უბედურობაა სწორედ!!—წამოიყვირა პერეპელიცამ. რად გვაიძულებთ, შენი ჭირიმე, ხელმეორედ შვიდი ათას ხუთასი მანეთი გადავიხადოთ?

— რაო?—დაიღრიალა გამგემ.

— ისა, შენი ჭირიმე,—დაიწყო კვლავ ნასალდათარმა,— რომ მემამულე დაგვყაბულდა მოგვცეს ნასყიდობის ქაღალდი, მხოლოდ კიდევ მოგვთხოვა შვიდი ათას ხუთასი მანეთი, შენი ჭირიმე, თითო დესეტინაზე 15 მანეთი მეტი; თქვენ რომ საქმე დააგვიანეთ, ამით მე დიდი ზარალი მომივიდაო.

— მიეცით მარა, თუ მამულის ყიდვა გინდათ. ჩემი რა საქმეა? თქვენ უნდა გადაიხადოთ მე ხომ არა,—გაბრაზებითა სთქვა გამგემ.

— რაკი სულ იმან დაგვაბრკოლა, რომ სახელი შეშლიათ,—ნიშნმიგებით განაგრძო ნასალდათარმა,—ამისი ბრალი კანცელარიაა და წევრი, დეე იმათ გადაიხადონ.

— რაო?—კიდევ დაიყვირა გამგემ.—კიდევ შენიშნვა, განა! არ მოგცემთ სესხს, დარჩით უმიწოდ.

გლეხები შეჩოჩქოლდნენ ერთ ალაგას. ბოლოს ნასალდათარი ცოტა წინ წადგა და ბოდიშის კილოთი დაიწყო:

— რას იზამ, თქვენო აღმატებულებავ, სესხი მოგვეცით და იმ შვიდი ათას ხუთას მანათს ერთმანეთში შევაგროვებთ და გადავიხდით, თორემ სრულიად უმიწოთ დავრჩებით.

— ჩვენ უმიწოდ ცხოვრება როგორ შეგვიძლიან!!—ერთად წამოიძახეს გლეხებმა.

— აი, აგრე ჯობია!—დაწყნარდა გამგე.—ათას დღიურზე ამ ფულის გადახდა არ გაგიძნელდებათ, პური მოგივათ და ვალს ხელად ააყენებთ...

— ნეტა ღმერთმა ქნას მოსავალი იყოს და!—ამოიოხრა ნასალდათარმა.

— ამის შემდეგ, ჩემო კარგნო, ჭკუას ისწავლით,—უკვე მხიარულად ეუბნებოდა გამგე. მართლმადიდებელი ქრისტიანენი ხართ და არა თათრები. თითონ უნდა იცოდეთ, რომ ასეთი სახელი—კაენ—არ არის, არ არის ესეთი წმიდანი, არ არის და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგანაც კაენი, ადამის შვილი, ძმა აბელისა, დიდი ცოდვილი და ძმის მკვლელი იყო, გესმით?

— გესმის, შენი ჭირიმე,—ამოიოხრეს გლეხებმა.

— გესმით და კეთილი,—გაიღიმა გამგემ.—კარგია, რომ შევნიშნე, თორემ ვინ იცის რა მომხდარიყო. ნასყიდობის ქაღალდი დაიწერებოდა ისეთს სახელზე, რომელიც არ არსებობს... აბა, ეხლა კი გასწით და ნასყიდობის ქაღალდის შედგენას შეუდექით!!..

— მშვიდობით იყავი, შენი ჭირიმე, თავი დაუკრეს გლეხებმა და გამოვიდნენ.

სან-განი-ძე.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჭუმბაძე.